შ.პ.ს. „ინტეგრა“ ს/კ 405061454

ვამტკიცებ შ.პ.ს. „ინტეგრა“

დირექტორი გ.ბარამიძე გიორგი ბარამიძე

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი (ს.კ. 01.72.14.037.047) დაპროექტებული საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების წარმოებით გამოწვეული ზეგავლენა მეზობლად მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (ს.კ. 01.72.14.037.451) და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს.კ. 01.72.14.037.048) საერთო კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

თბილისი 2021წ.

დავალების თანახმად, საჭიროა შედგეს კონტრუქციული დასკვნა ქ. თბილისი, სოფ. დიღომი ს/კ 01.72.14.037.047 დაპროექტებული საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზეგავლენა მეზობლად მდებარე ს.კ. 01.72.14.037.451 და ს.კ. 01.72.14.037.048 საცხოვრებელ სახლებსა და საერთო კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

გამოყენებული მასალები

1. ქ. თბილისი სოფ. დიღომი ს.კ. 01.72.14.037.047 დაპროექტებული სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი
2. ქ. თბილისი, სოფ. დიღომი ს.კ. 01.72.14.037.047 დაპროექტებული (კორექტირებული) საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.

   პროექტის მთავარი არქიტექტორი-გიორგი ბარამიძე

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

სეისმურობა - 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ^2

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ^2

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის მიხედვით შენობა 6 სართულიანია, სარდაფით, იგი გეგმაში არასწორი მართკუთხა ფორმისაა, ზომები ღერძებში 29.600 მ. X 29.747 მ.

სინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო გეოლოგიურ პირობებში, საძირკვლის ფუძედ მიღებულია მოყვითალო ფერის თიხა ქვიშისა და ღორღის ლინზებით და შუაშრეებით ნახევრად მყარი კონსისტენციის, რომლის ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე -p=1.81 გ/მ^3

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=18^0

დეფორმაციის მოდული E=200 კგ/სმ^2

ხვედრითი შეჭიდულობა C=0.53 კგ/სმ^2

გრუნტის საანგარიშო წინაღობა R$_0$=3.0 კგ/მ^2

პუასონის კოეფიციენტი μ=0.42

საძირკველი - მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ფილაა. შენობის კონსტრუქცია მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასია, რომელიც შედგება კოლონების რიგელებისა და გადახურვის ფილებისგან. კონსტრუქციის ელემენტები ერთმანეთს უერთდება ხისტად და ქმნიან ერთიან ხისტ სისტემას, რაც მნიშვნელოვანია სეისმური დატვირთვების მისაღებად.

საპროექტო ნაგებობას ქ. თბილისი, სოფ. დიღომი ს.კ. 01.72.14.037.047 დასავლეთით ემიჯნება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ს.კ. 01.72.14.037.451 და აღმოსავლეთით ს.კ. 01.72.14.037.048 მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. სხვა შენობა-ნაგებობები სამშენებლო მოედნის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება.

არსებული სიტუაციის კონსტრუქციის აღწერა

მოგახსენებთ, რომ დასავლეთით მდებარე შენობა მეზობელ მიწის ნაკვეთზე ს.კ. 01.72.14.037.451 (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) წარმოადგენს ახლად აგებულ ნაგებობას. სამშენებლო მოედანსა და მეზობელ ტერიტორიას (ს.კ. 01.72.14.037.451) შორის კაპიტალური კონსტრუქციის ღობეა, რომლიდანაც არსებულ შენობამდე 3.00 მეტრია და ჩვენი საპროექტო შენობაც ხსენებული ღობიდან მოცილებულია 1.20 მეტრით, შენობას არ გააჩნია სარდაფის სართული. როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკველი წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ფილას და შენობისგან საყრდენ გრუნტზე გადაცემული დატვირთვები მაქსიმალურად შემცირებული და გაწონასწორებულია. გამომდინარე აქედან საპროექტო შენობა არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავე ს.კ. 01.72.14.037.451 შენობაზე.

საპროექტო ნაგებობის აღმოსავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთზე ს.კ. 01.72.14.037.048 მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა რომელიც წარმოადგენს 5 სართულიან ნაგებობას სარდაფით, მისი საძირკველი მონოლითური რკინა-ბეტონის ფილაა, შენობის კონსტრუქცია კი რკინა-ბეტონის კარკასია, რომელიც შედგება კოლონების, რიგელების და გადახურვის ფილებისაგან, კონსტრუქციული ელემენტების ხისტი შეერთებებით.

საპროექტო ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთზე ს.კ. 01.72.14.037.047 და მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ს.კ. 01.72.14.037.048 მიწის ნაკვეთზე ერთმანეთისაგან დაშორებულია 4 მეტრით, ორივე შენობის კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, ფუძე-საძირკვლების საანგარიშო სქემიდან გამომდინარე, კორექტირებული პროექტის მიხედვით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით გამორიცხულია მშენებარე საცხოვრებელ სახლზე ს.კ. 01.72.14.037.048 უარყოფითი ზეგავლენის წარმოქმნა კონსტრუქციული მდგრადობის კუთხით, მითუმეტეს როდესაც მიწის ნაკვეთზე ს.კ. 01.72.14.037.048 მშენებლობის დაწყების მომენტისათვის, მიწის ნაკვეთზე ს.კ.

01.72.14.037.047 მშენებლობა იყო დაწყებული და ფორმირებული იყო მიწისქვეშა ერთი და მიწის ზედა სამი სართულის მზიდი კონსტრუქცია.

დასკვნითი ნაწილი: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი ასმათის ქ. #32 მიწის ნაკვეთზე ს.კ 01.72.14.037.047 (მესაკუთრე შ.პ.ს. „მეგა ეკო ქონსთრაქშენ“ ს.კ. 405294319) წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ გამოიწვევს არავითარ უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავე ნაკვეთებზე ს.კ. 01.72.14.037.451 და ს.კ. 01.72.14.037.048 განთავსებულ შენობა ნაგებობებსა და მათ კონსტრუქციულ მდგრადობაზე რადგან: მეზობლად მდებარე ორივე შენობა ჩვენი საპროექტო შენობიდან მოშორებულია საკმაო მანძილზე და მათი საძირკვლებიც ერთ დონეზეა განლაგებული, შესაბამისად ერთმანეთზე უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენენ, გარდა ამისა როგორც უკვე აღინიშნა ჩვენი საპროექტო შენობის (ს.კ 01.72.14.037.047) კონსტრუქცია უკვე ფორმირებულია და შეთანხმებული პროექტის კორექტირება ითვალისწინებს მხოლოდ სართულის დამატებას.

აუცილებელია სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს თანმიმდევრულად, რიგითობის დაცვით და სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიების მიხედვით. სამშენებლო სამუშაოების ხარისხიან და პროფესიონალურ დონეზე ჩატარების შემდგომ შესაძლებელი იქნება სამივე საცხოვრებელი სახლის ჩვეულ რეჟიმში ექსპლოატაცია.

ინჟინერ-კონსტრუქტორი ირაკლი კევლიშვილი

12.04.2021 წ.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ირაკლი
IRAKLI
გვარი / LAST NAME
კევლიშვილი
KEVLISHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01017021350
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
05.04.1955
03.05.2022
ბარათის No / CARD No
11IC81923
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
საგარეჯო
SAGAREJO
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
03.05.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 03/11
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE011IC81923901017021350<<<<
5504053M2205038GE0<<<<<<<<<<<0
KEVLISHVILI<<IRAKLI<<<<<<<<<<<

სახელი, გვარი, მამის სახელი:	ირაკლი ოთარის ძე კევლიშვილი
დაბადების თარიღი:	5 აპრილი 1955 წელი
დაბადების ადგილი:	საგარეჯო
მისამართი:	ქ. თბილისი გამსახურდიას ქ.№ 31ბ
ტელეფონი:	2373574
მობილური:	577712516
ელ-ფოსტა:	iraklikevlishvili@yahoo.com
ოჯახური მდგომარეობა:	ცოლ'შვილიანი
სამუშაო ადგილი:	შ.პ.ს არქიტექტურულ დიზაინური კომპანია „დემარკი„ საქართველოს მუზეუმის არქიტექტურული ჯგუფი “ICOMOS საქართველო”
თანამდებობა:	ინჟინერ კონსტრუქტორი
სხვა სამუშაო ადგილის თანამდებობა:	ინჟინერ კონსტრუქტორი
სამეცნიერო ხარისხი:	
განათლება:	უმაღლესი ტექნიკური
სტაჟირება, კვალიფიკაცია, სასერტიფიკატო კურსები	
სამუშაო გამოცდილება:	ინჟინერ კონსტრუქტორი 1976 წლიდან
გამოქვეყნებული ნაშრომები:	

მუზეუმის ფარგლებში განხორციელებული პროექტები:	ეროვნული გალერეის „ცისფერი გალერეა„ პროექტი; ვანის მუზეუმის რეკონსტრუქციის პროექტი; კონსერვაცია-რესტავრაციის ცენტრის პროექტი; ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა ნაგებობები. დმანისის მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია. დუშეთის და ბორჯომის სამხარეო მუზეუმების შენობების რეკონსტრუქციის პროექტები.
კონსტრუქციული პროექტები:	საცხოვრებელი და კომერციული შენობები თბილისში, ბათუმში, ქობულეთში, ჩაქვში და ბორჯომში. სასტუმრო და დასასვენებელი სახლები და კოტეჯები თბილისში, ბორჯომში და ბაკურიანში. თბილისის ლოკომოტივის სტადიონი. პოლიციის აკადემიის სასწავლო კორპუსი. საცურაო აუზი გლდანში. სხვა მრავალი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტი საქართველოში. ზესტაფონის და ხაშურის ცენტრალური წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტები. გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის პროექტი.
უცხო ენები:	რუსული
კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება :	2000 წლიდან

ირაკლი კევლიშვილი